



რამდენად დამარცხებულად დაეშა?

მარიამ თოხაძე - ტერორიზმის კვლევითი ცენტრის (TRC)* ხელმძღვანელი

2015 წელს შეიარაღებული დაჯგუფება, რომელიც თვით-იდენტიფიცირებას ახდენს, როგორც **ისლამური სახელმწიფო**, საკუთარი არსებობის მწვერვალზე აკონტროლებდა დიდი ბრიტანეთის ზომის ტერიტორიას, 10 მილიონამდე ადამიანს და მიიჩნეოდა მსოფლიოს ყველაზე მდიდარ ტერორისტულ ორგანიზაციად ჟურნალ Forbes-ის მიერ. მიუხედავად მისი დასახელებისა, დაჯგუფება არათერორიკული არაა, თუ არა ტერორისტული ორგანიზაცია და მოცემულ დოკუმენტში მას მოვისხენიებთ აკრონიმით, რომელიც მის იდეოლოგიებს ესოდენ სძულთ - **დაეშა** (დაულა ალ ისლამია ფი ირაქ უა აშ-შამ).

სუთნლიანი ბრძოლის შემდეგ, 2019 წლის 23 მარტს ცნობილი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მხარდაჭერილმა ქართულ-არაბულმა შენაერთებმა დაეშა მისი უკანასკნელი საბრძოლო პოზიციიდან - სირიის სოფელ ბალუზიდან განდევნეს. აღნიშნულთან დაკავშირებით არაერთი შეფასება გაკეთდა, მათგან მრავალი, ცალსახად, პოზიტიური და ოპტიმისტური, ზოგიც - ფრთხილი. New York Times-ში გამოქვეყნებული სტატია ახლო აღმოსავლეთის საკითხების მკვლევარმა ფავამ უერუესმა დაიწყო სიტყვებით იმის თაობაზე, რომ დაეშის „ტერიტორიული მმართველობა დასრულდა“. სწორედ ამ ერთი შეხედვით მარტივ წინადადებაშია მოცული ის კრიტიკული ასპექტი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ როდესაც დაეშის დამარცხების საკითხს განვიხილავთ. ხსენებული ორგანიზაციის ჭეშმარიტი ძალა ყოველთვის სცდებოდა მის ტერიტორიულ საზღვრებს.

რას ნიშნავს ტერიტორიის ფლობა ტერორისტული ორგანიზაციისთვის?

ტერიტორიის ფლობა დაეშისთვის უდავოდ მნიშვნელოვანი იყო და თვალსაჩინოდ გამოარჩევდა სხვა ჯიჰადისტური დაჯგუფებებისგან - მან მიაღწია იმას, რასაც სხვები ვერც მიუახლოვდნენ. აღნიშნული კი, თავის მხრივ, გარკვეულ პატივისცემას იწვევდა სხვადასხვა დაჯგუფებების მხრიდან



რამაც განაპირობა კიდევ დაეშის მიმართ ბაიათების (ერთგულების ფიცი) საკმაოდ დიდი რაოდენობა. ნაწილობრივ, სწორედ ამ წარმატებამ ნააქემა **აბუ ბაქრ ალ-ბალდადი**, როდესაც მან სირია-ერაყის ტერიტორიაზე **სახალიფო** შექმნა, თავი კი **ხალიფად**, ანუ მის სასულიერო და საერო წინამძღოლად გამოაცხადა. ამგვარმა თვითგამოცხადებამ იგი თითქოს მსოფლიოს ჯიჰადისტური ორგანიზაციების ლიდერად შერაცხა. ტერიტორიის ფლობა ასევე გულისხმობს ადამიანებს, რაც ძალაუფლების ფლობის აუცილებელი წინაპირობაა. ამასთანავე ფიზიკური ტერიტორია ეკონომიკური აქტივობის და შემოსავლის გენერირების საშუალებაა, რაც, თავის მხრივ, მდგრადი არსებობისა და თვითკმარობისთვის არის აუცილებელი.

რა დამარცხდა და რა განაგრძობს არსებობას?

უპირველესად, უნდა განვასხვავოთ დაეშა, როგორც კვაზი პოლიტიკური ერთეული და დაეშა, როგორც იდეოლოგია. ერთი მხრივ, დაეშა იყო დაჯგუფება რომელიც მიილტვოდა, და გარკვეულწილად, შექმნა კიდევ სახელმწიფოსებრი ერთეული საკუთარი ტერიტორიით, ჯარითა და სამხედრო შესაძლებლობებით; პროტო-სახელმწიფო, რომლის ფარგლებშიც ის აგროვებდა გადასახადებს და განსაზღვრავდა ცხოვრებისა და ქცევის წესს მათთვის, ვინც ნებით ან მის სანაღმდეგოდ მოექცა დაეშის მმართველობის ქვეშ.

მეორე მხრივ, დაეშმა შექმნა მნიშვნელობათა სისტემა, რომელიც განმტკიცდა არაერთი ადამიანის გონებაში. აღნიშნული იდეოლოგია ეფექტიანად ქმნის გარკვეული პრობლემის აღქმას და საკუთარ თავს წარმოაჩენს, როგორც ჭეშმარიტების უპირობო მფლობელს, ანუ ერთგვარ მსხნელს. გრძელვადიან პერსპექტივაში სწორედ იდეოლოგია იქნება პრობლემური უსაფრთხოების პოლიტიკისთვის. ეს იდეოლოგია შექმნილია გრძელვადიანი არსებობისთვის და მასთან გამკლავებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო.

მიუხედავად იმისა, რომ მატერიალურ-პოლიტიკური სიმბოლოს მორღვევა დარტყმა იქნება იდეოლოგიის მქადაგებელთათვის, ამ გზით მისი სრული დამარცხება არ მოხდება. მართალია, ერთიანი ტერიტორიული ცენტრის არსებობის გარეშე დაჯგუფების



კოორდინაციის მაღალი ხარისხის შენარჩუნება ცალსახად გართულებდა, დაეშვა არაერთხელ დაამტკიცა მისი გადარჩენის უნარიანობა. ამიტომაც, ის რასაც ჩვენ ახლა დამარცხებას ვუწოდებთ, შესაძლოა, იყოს მხოლოდ დროებითი დასუსტება. ამას ადასტურებს სხვადასხვა ანგარიში, რომელიც ცხადყოფს, რომ დაეშვა კვლავ იღებს შემოსავალს ძველი ინვესტიციებიდან, კრიმინალური საქმიანობითა და შემონირულობებით. ასევე არსებობს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ დიდი რაოდენობით ფული გადამალულია სხვადასხვა სამალავში, რათა მოხმარდეს ორგანიზაციის ხელახალ გაძლიერებასა და შეიარაღებას. ამასთანავე, ტერიტორიის ფლობა სულაც არ წარმოადგენს აუცილებელ პირობას იმისთვის, რომ მათ მოახერხონ თავიანთი იდეებით პოტენციური მომხრეების მოხიბლვა და გადაბირება. თანამედროვე ეპოქა ამ მიზნების მისაღწევად სხვადასხვა საშუალებებსა და პლატფორმას გვთავაზობს. იდეოლოგია მყარად არსებობს და მის წინსვლას უამრავი ფაქტორი უწყობს ხელს.

მამოძრავებელი ძალა

დაეშვისთვის სიმბოლოებს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სიმბოლიზმის დიდი როლი ჩანდა მათ თითოეულ განცხადებასა და ქმედებაში. მაგალითისთვის შეიძლება გავიხსენოთ, ალ-ბაღდადის მიმართვა მოსულში, ალ-ნურის მეჩეთიდან და მათი ონლაინ ჟურნალისთვის „დაბიქის“ დარქმევა. ეს ნიშნავს, რომ მანამ, სანამ აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი ჯერ კიდევ სავარაუდოდ ცოცხლად მიიჩნევა, იგი კვლავ რჩება დიდების სიმბოლოდ - სიმბოლო არა რიგითი მებრძოლისა, არამედ ადამიანისა, რომელმაც დაეშვა ძალა და დიდება შესძინა. საერთაშორისო დევნის პირობებში ყოფნა სავარაუდოდ შესძენს კიდევ უფრო მეტ მხარდამჭერს. მნიშვნელოვანია, როგორ გაუმკლავდებამ ამ საკითხს საერთაშორისო საზოგადოება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება მისთვის მონამის სტატუსის შექმნის ხელშეწყობის თავიდან აცილება.

რა შეიძლება მოხდეს?

პრაქტიკული თვალსაზრისით რომ განვიხილოთ, დაეშვა არის ტერორისტული ორგანიზაცია, რომლის შესაძლებლობებიც გარკვეულ დროს ზოგიერთი სახელმწიფოსას



აჭარბებდა. რა შეიძლება, მოხდეს ასეთ ვითარებაში?

1. დაეშვა კვლავ გააგრძელებს რეგიონში სექტარიანული დაყოფის და მმართველობის ხარვეზების თავის სასარგებლოდ გამოყენებას. ზემოლნიშნული ძალზე მნიშვნელოვანია, იქიდან გამომდინარე, რომ ის პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები, რომელმაც დაეშვის აღზევების წინაპირობა შექმნა, კვლავ არსებობს და ქმნის ნოყიერ ნიადაგს ძალადობრივი ექსტრემიზმის სამომავლო გაღვივებისთვის. ამ ფაქტორებთან გამკლავება, უმთავრესად, ადგილობრივმა აქტორებმა უნდა მოახერხონ.

2. ტერიტორიის დაკარგვის შემდეგ დაეშვა კიდევ უფრო მიუახლოვდა ე.წ. *insurgency* - ს ანუ არაპროპორციული ომისთვის მახასიათებელი მემარჯობე დაჯგუფების სტატუსს. სირიასა და ერაყში უნდა ველოდოთ პარტიზანული, ე.წ. *გერილა* ტაქტიკის გააქტიურებას. აღნიშნულს მონმობს დამარცხების გამოცხადებიდან სამ დღეში, ქურთულ ძალებზე განახორციელებული თავდასხმა მანჯიბში, რომელმაც 7 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ერაყში დაეშვა წლების მანძილზე ფუნქციონირებს ფარული ქსელის სახით. იგი განსაკუთრებით ოპერირებს ისეთ მიუვალ ადგილებში, როგორებიცაა ანბარისა და ნინევიას პროვინციები. სავარაუდოა, რომ სირიაშიც მსგავსი სცენარი განვითარდება. აღნიშნულს მონმობს გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება დაეშვისგან გამომდინარე საფრთხეების შესახებ და 2019 წლის თებერვალში, აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ დაეშვა კვლავ შესწევს საბრძოლო მოქმედებების წარმოების უნარი.

3. სირიასა და ერაყში დაეშვის ასობით მებრძოლია პატიმრობაში. ისინი დიდ გამოწვევას წარმოადგენენ ადგილობრივი მთავრობებისთვის სულ მცირე ორი მიზეზის გამო: 1. უცხოელი, ისევე როგორც ადგილობრივი მებრძოლები, არიან ადამიანები, რომელთათვის, როგორც მინიმუმ, ძალადობა მისაღებია როგორც პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება და როგორც მაქსიმუმ, არიან ომის/სამხედრო დამნაშავეები. 2. ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ ამ პირთა მიმართ მოპყრობა დიდი ალბათობით გააჩენს



შეკითხვებს ადამიანის უფლებების შელახვასთან დაკავშირებით, რაც რეგიონისთვის უკვე მახასიათებელი სექტარიანული დანაწევრებისა და შუღლის გათვალისწინებით შესაძლოა პრობლემური გახდეს ცენტრალური ხელისუფლებებისთვის.

4. დაეშმა ეფექტურად მოახერხა გაფართოება, როგორც რეგიონში, ისე მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში, რაც უსაფრთხოების უკიდურესად მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მაგალითად ფილიპინებში, ბურკინა ფასოში, ლიბიასა და ავღანეთში. ფილიპინებში დაეშმა რეკრუტირების პირველი ტალღა 2016 წელს ჰქონდა. ამჟამად, მებრძოლები დისლოცირებული არიან მინდანაოს კუნძულზე, სადაც გაუვალი ტერიტორია და სუსტი საპოლიციო ზედამხედველობა არსებობის, წვრთნისა და რეკრუტირებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. ლიბიაში დაეშმა აქტიურად იყენებს ძალაუფლების ფრაგმენტაციას და ახორციელებს თავდასხმებს მშვიდობიან მოქალაქეებზე. ხოლო ავღანეთში, ISIS Khorasan (IK) დღესაც ებრძვის ავღანეთის სახელმწიფო ჯარს, თალიბანსა და ალ-ქაიდას. სავარაუდოა, რომ ავღანეთში მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებებს, დაეშმა სათავეს დაემოყენებს, და ამ პროცესში თალიბანის ჩართულობით იმედგაცრუებულ მხარდამჭერებს გადაიბირებს. სხვა მებრძოლები მიმოფანტულნი არიან მსოფლიოში და სახალიფოს აღდგენის სურვილიც მუდამ იარსებებს, რაც მიუთითებს, რომ სამომავლოდ შესაძლოა ბრძოლა სხვა ტერიტორიაზე გაჩაღდეს.

5. დაეშმა ყოველთვის ახერხებდა ბრძოლის ველის საჭიროებებთან ადაპტირებას. ამის ნათელი მაგალითია დაჯგუფების შეცვლილი მიდგომა ქალების მიმართ - დაეშმა ეტაპობრივად გაზარდა საბრძოლო პოზიციებზე ქალების ჩართულობა, რაც რიგი სახელმწიფოების უსაფრთხოების პოლიტიკისთვის კვლავ აუთვისებელ გამოწვევად რჩება. დაეშის მეინსტრიმულ იდეოლოგიაში ქალები ყოველთვის აღიქმებოდნენ, როგორც მომავალი მებრძოლების აღმზრდელებად. ცხოვრებაში, ისევე როგორც ომში, მათ ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა მამაკაცების მხარდაჭერა და ბავშვების აღზრდა. ტრადიციულად, ბრძოლის ველზე ქალების ადგილი არ იყო. თუმცა,



დაეშმა ნათლად დაინახა თავისი მონინაალმდეგების უსაფრთხოების პოლიტიკის ნაკლოვანება და პირველად 2017 წელს აქტიურად მოუწოდებდა ქალებს, ჩართულიყვნენ ტერორისტულ საქმიანობაში. მას შემდეგ დაეშმა არაერთხელ გამოიყენა ქალი მებრძოლები სხვადასხვა პოზიციებზე. მოსალოდნელია დაჯგუფების მიერ ამ რესურსის უფრო აქტიური გამოყენება.

6. აუცილებელია, გვახსოვდეს, რომ დაეშმა ყოველთვის კარგად იყენებდა სოციალურ მედიას, როგორც პროპაგანდისტული მიზნებისთვის, ისე კომუნიკაციისთვის. განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება სრული დაშიფრვის საკომუნიკაციო პლატფორმები. სავარაუდოა, რომ აღნიშნულ მექანიზმს დაჯგუფება გაააქტიურებს, როგორც ლოიალურ ბაზასთან საკონტაქტოდ, ისე დამატებითი მხარდაჭერის მოზიდვის და შემდგომი ქმედებების კოორდინაციის მიზნით.

ტერორიზმის კვლევითი ცენტრი არის პირველი ქართული ორგანიზაცია, რომლის მიზანია ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების კვლევა და საქართველოში ტერორიზმისა და მასთან დაკავშირებულ საკითხებთან კოორდინაციის შექმნა;